<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge), №18, 12.04.2010, სარეგისტრაციო კოდი: 010.100.000.05.001.003.962) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-12 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყლიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიებს, ახორციელებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს.“

ბ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს

2. მე-13 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრციულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად, შეიმუშავებენ და ახორციელებენ ღონისძიებებს ადგილებზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.“

ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი შინაარსის 1[1] პუნქტი:

„1[1]. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალური გენდერული

თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება საკრებულოს რეგლამენტით და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.

გ) 1^1 პუნქტის შემდეგ დამატებულ იქნეს შემდეგი შინაარსის 1^2 პუნქტი:

„1^2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად საჭირო რეკომენდაციებს ამზადებს გამგეობის/მერიის მოსამსახურე - მრჩეველი გენდერული თანასწორობის საკითხებში, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი/მერი.“

მუხლი 2.

1. ეს კანონი გარდა ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*